


# თეატრი სსრკ-ში

ათეისტური სალიტერატურო ჟურნალი

2-1915


მიიღება ხელმოწერა 1915 წ. „თეატრი და ცხოვრება“-ზე

11 იანვარი



სერო მგოსანი აკაკი  
შისი ავადმყოფობის გამო

# შინაარსი:



1. მეთაური—აღმართს დაღმართს მოსდევს 1
2. ი. იმედაშვილი—გ. ფოცხოველი „  
გ. ჯაბაური—ს. პ. სვიმონიძე „
3. ვასო მუშა—გ. მ. ხერხეულიძე 2
4. ი. ჯიხაიშვილი—სამშობლოში „
5. დარია ახვლედიანი—შერბე, ლექსი 3
6. მიხ. ბოჭორიშვილი—ვერ მიშველი? „
7. მიწისშვილი—„წინ, სიკვდილისაკენ“! 3
8. იოსებ არიშთიელი—ქართველი  
მწერლები—გ. ტაბიძე 5
9. გ. ტაბიძე—Art p. ténigua (ლექსი) 6
10. ზ. ჩხიკვაძე—კომპ. 3 ი. ჩაიკოვსკი  
(მოგონება) „
11. დ. პარიზელა—მგზავრის სიმღერა  
(მეგობრული პაროდია) 7
12. ღრუბელი—საქართველოდან რუსეთში  
(ახალი ჯარის კაცის ელეგია) 8
13. ა. შანშიაშვილი—ქალი გრძნული,  
რამა. პოემა 1 მოქ. 9
14. მის. აბრამიშვილი—„სიტყვა“ გრი-  
შაშვილის პოეზიაში 10
15. ქნარი—\* \* ლექსი 11
16. ვიკელა მეტუყე—თეატრის ისტორია  
1. თეატრი პირველყოფილ ხალხში „
17. დამსწრე ქალი—სამწიფნობრო მუსიკაში 12
18. არჩილ შათირიშვილი—ხარფუხის  
რამე-რუმე 13
19. ვვ. ფურცხვანიძე—დედის მკვლელი 14
20. ქართული სახობა: 15
21. წვერილი ამბები—  
სურათები, შარყები, განცხადებანი 16

**სვ. პავ. სვიმონიძე (გოგოლაშვილი)**  
(25 წ. სასცენო მოღვაწეობის გამო)

ს. ს-ქ იმ დროს გამოვიდა ქართულ სცენაზე, როდესაც მსახიობი სხვათა სტაბილური აქტივობის ერთადერთი ამაგი დასაქმებული სცენის და ხელი შეუწყო სათეატრო საქმი. წინსვლას.

მას კარგად იცნობს სახალხო თეატრის საზოგადოებაც, რომლისთვისაც ს-ქ-ს უარი არას-დეს უთავაზო: მუდამ სამუშაოთი მონაწილეობდა ხალხურ სახალხო თეატრის შექმნა და მატარა სცენაზე: 1893 წ. ერთხელ შემთხვევით უსასყიდოდ ირეჟისორმა, შეორედ 1899 წ. წრის თხავინათ და დრამ. საზ. გამგეობის დაჯვლებით შეორედ ეპისრა რეჟისორობა, 1910 წ. ფრ. ჩარკვიანმა რომ ჩაძალადეგში სახალხო თეატრის დაფუძნება განზრახა, ეს აზრი პირველად ს-ქ-ს გადასცა, რომელიც საიმონიძის დასთანხმდა, მხურფალე მონაწილეობა მიიღო ჩაძალადეგის თეატრის დაარსე: იაში და დღემდე თავაძმობებით ემსახურება

დღეს ჩაძალადეგის სახალხო თეატრში გამართება მისი 25 წ. მოღვაწეობის აღსანიშნავი წარმოდგენა, წარმოდგენენ „დალატს“. იმედა ახლამ გუდამხურაფელ შეეგება ამ სასცენო შეშუაის სადღესასწაულო წარმოდგენას.

## გიორგი ჯაბაური

**თეატრი ნაძალადევი** კვირას, 11 იანვარს 1915 წ. ოცდახუთი წლის ქართულ სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავთ გვიმართება **ბენეფისი ს. პ. სვიმონიძის**, რეჟისორის ქართულ-რუსულ სექციებისა. წარმოდგენილი იქნება ქარ. მსახიობთა მონაწილეობით

**ა ჯ ა ბ ი**

დრ. ნ მოქმ. ა. სუშათაშვილისა, მონაწილეობას მიიღებს მთელი ჯგუფი ნაძალადეგის სცენის მოყვარეთა და თანამშრომელთა. ადგილების ფასი. 15 კაპ ვიდრე 60 კ-დ. დასაწყისი საღამოს 7 საათზე რეჟისორი ს. პ. სვიმონიძე თან. ი კანდელაკი. გამგე ი. ტორიკაშვილი.

**სახალხო სხალი.** სამშაბათს, 13 იანვ. 1915 წ. თბილისის ქართ. დრამატ. დასის ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება

**მ ა რ გ ა რ ი ტ ა ზ ო ტ ი ი**

დრამა 5 მოქ. ა. დიშაშვილისა მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი საღ. 7 1/2 ს. ადგილების ფასი 1 მ 20 კ-დნ 10 კ. რეჟ. მ. ძორაძე

**ავლაბრის სახალხო თეატრი**, კვირა, 11 იანვ. 1915 წ. ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ. მსახიობთა სოსო ივანიძის და ს. კვიციანის მონაწილეობით გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა ქართულ სამუდამო თეატრის 65 წ. თავის აღსანიშნაველ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორ. დრ. ნ. შ. ა. ცაგარლისა

**ქ ა რ თ ვ ი ლ ი დ ი ა**

მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 7 ს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია. ბილეთები იყიდება ვრცელ დღეს თეატრის კასაში, წრის რეჟ. ს. ივანიძე. მორიგი გამგე ა. თავდგირიძე.



№ 2

წელიწადი  
8 მ ს ა მ

წლიურად 5 მ., ხანგრძლივად 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება „სორაპანის“ სტამბაში. მისამართი: **თფლისი** რედ. „Театри да Цховреба“ 1. Имедашвили

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. — ხელთნაწერები საკურორტოების მფლობელებსა და საკურორტოების მფლობელებს უნდა დაეკუთვნოს. — რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპანის“ სტამბის კანტონაში — დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ტელეფონი № 15-41

№ 2

კ ბ ი კ ა 11 ი ა ნ ვ ა რ ი

1915 წ.

ს ა კ ა კ ი ს ა ვ ა ღ ქ ე რ ო ბ ა

**ჩვენი პროვინციული მოსახლეობა** ეს მუდმივად კვირავს მძიმე ავადმყოფობა. როგორც ვიცნობთ 14-25 ქრისტეს. მგოსანმა დაასრულა ახალი პოემა მღვდელი ომიანობიდან, რაიცა გახდა მიზეზი ავად-

მყოფობისა. უკანასკნელი ცნობით — მგოსანს წვეთის დაკების ნიშნები ეჩვენება, მარცხენა ხელ-ფეხი დასდამლებია. ვისურვებთ ჩვენი პატარა სამშობლოს დიდებულ შვილი მალე გვენახოს განკურნებული.

11 იანვარი

**აღმართს დაღმართი მოხდევს.**

თუ ბნელია, სინათლეც იქნება, — ასე სჯის ხალხის სიბრძნე და ზღაპრად ამ რწმენით უნდა ველოდეთ ხვალის დღეს...

ვერობის ცივილიზაციის მატარებლებმა, რომლებიც ცის ქვეშეთ ყოველივე სიკეთის სათავედ თავის თავს აღიარებდნენ, მთელი ქვეყნის უღიდეს ნაწილზე სისხლის რუები მოუღდეს და დედამიწის ზურგი ადამიანთ ლეშით მოკფინეს...

სისხლი, სიჭაბუკე, კენესა, გოდება, მღურვა ბედისა... წყევა მათი, ვინც ძმა მის წაჰკიდა, საწყალი შრომის შვილი — მზენელ-მთევსელი გლეხი მიწის მოსწყეიტა, მუშა-ხელოსანი — დაზვას, საშუალო მყოჯახე-ვაჭარი, წვრილი მოხელე თუ სხვა — თავის კერას... ვინც ქვეყნად სინათლისა და სიტკბოების ნაცვლად წყვილიდო და სიმწარე გააბატონა...

აი, რას მოვესწარით... მართალი უთქვამთ, ვგონებ ძველ რომაელთ, რომ კაცი კაცისთვის მგელიაო... და მართლაცრასაც დღეს ადამიანი ადამიანს უშვრება, განა მგელი ჩაიდენს?!

ამ მიზეზით ბევრს გული გასტეია, უკეთესი მერმის ეს რწმენა დაჰკარგვია და, გონება მოზინდული, ან უგზო-უკვლოდ სდღაც მიიღტვის, ან უნუგეშობით სასოწარკვეთილია, იმედ დაკარგული, კაცობრიობის სიკეთის მოკიქულებზე გულგატეხილი...

საზარელია ყოველივე ეს, მაგრამ სწორედ ასეთ დროსა საკურორტო მგეტი სიხეზილგ... რა ვუყოთ, რომ დროებით სიბნელემ მოიცვა კაცთა გონება!

როცა ბნელდება — მთიარე-ვარსკვლავები მაშინ გვეკვირვება, როცა ჰყინავს მზის სხივები მაშინ გვენატრება...

ამიტომაც ყოველი მოაზროვნე ადამიანის ვალია, კაცთა შორის მხოლოდ სიყვარულისა და ერთობის გავრცელებას შეუწყოს ხელი, რითაც კი შეუძლიან, და დროებითი უკუღმართობას ქედი არ მოუხაროს...

ნუ დავეცემით სულით! გვწამდეს, რომ აღმართს დაღმართი მოხდევს, და თუღამეა — გათენდება კიდევ... ბედნიერება მომავალშია...



მტ. — აკა. **გ. მ ხვჩავაძე** (მ ფოცხოველი)

კლამი მკურნება, დე-სწერო, მაგრამ უკვე აღსრულდა...

სამი კვირის წინად მოსული ცნობა უკვე გამართლდა: გერმანიის საზღვართან ბრძოლის დროს მოკლულ იქნა თ. გიორგი მიხეილისძე ხერხეულიძე, — ჩვენის ჟურნალის (და საზოგადო-

ლოდ ქართულ გამოცემათა) მფლობელისა და მგობარ-თანამშრომელი სულით და გულთ ქართველი, სამშობლო მწერლობისა და ხელოვნების დიდ მოყვარული, ქართულ საზოგადო საქმეთა ერთგული მუშა





კი, მწერლობაში გ. ფოცხოველისა და განხანის სახელით ცნობილი. დასწერა რამდენიმე პიესა (ზოგი მათგანი დიღვა კიდევ), მოთხრობა და მინიატიურა. ერთი წლის წინად იგი განსაკუთრებით საქმიანობაში გაიტაცა და გულწრფელად მუშაობდა. ბოლოს საერთაშორისო ომიანობაში ჩაითრია, ვითარცა ბუნებით რაინდი, და ავტრ სხვა რამდენიმე ათიათას ქართველთან ერთად ემსხვერპლა კიდევ. მისი სიკვდილი განსაკუთრებით დღესა სამწუხარო ჩვენი ქვეყნისთვის. იგი მუდამ ბრძოლის მწყურვალნი, ბრძოლაში გართული, ბრძოლის ველზე მოკვდა ვაჟაკურად. დაუეწყარი იყოს სახელი შენი, ძვირფასო გიორგი!..

**იოსებ იმედაშვილი**

**გ. მ. ხერხულიაძე  
(ფოცხოველი)**

შემადრწუნებელი ამბავი გვაუწყა გახეთმა: „ბრძოლის ველზე მოკლულია გიორგი მინელიძე ხერხეულიძე“. რა საშინელი ამბავი!..

ძვირფასო გიორგი! თავს ზარი დამცა შენმა ასეთმა, მოულოდნელმა ტრადიკულმა დაღუპვამ... ასე მგონია, ცა თავზე მატყდება... შენი ასეთი... გამაუტყმელი მწარე ხედრით გამწარებულს მინდა გივიეთ ვიყვირო... და ენა მებმის... მინდა რამე გითხრა, და მეტყველი დამეზღვრებულვარ... სათქმელი ვლრა გამომითქვამს... მინდა დავსწერო რამე, — კლამი აღარ შემორჩილება, გული შხამბოლმა-ნაღველით მაქვს აღსავსე...

რა რიგ შეურიადე შენს ასეთს მწარე ხედრს!.. განა იმ ადამიანს, განსაკუთრებით შენთან დაახლოვებულს, როგორც მე ვიყავი შენთან, და ვისაც სცენაზე შენი მომხიბლავი თამაში ჩამეგრელოს დედა ქალაქ ზუგდიდში შენი მცირედი ხნის ყოფნის დროს უნახავს ვინც შენ წიგნებით და ჟურნალ-გაზეთებით ხელში გხედავდა ქუჩაში, რომელ საქმესაც დღეს უბრალო მომთაყმენიც კი თაკილობენ, განსაკუთრებით კი ჩვენში, ვისაც შენ, სხეულგბრივად დაღალული, სული-

რად დაუღალავი, ფეხით მოსიარულე თვით მიყრუებულ სოფლებში ზუგ. მახრაში უნახავიხარ, რომ სოფელში პიბლიოთეკა—სამკითხველოები და სკოლები მოგეფინა, რომ იქაური ბნელი მასა გაგეთვითცნობიერებინა, ხალხში განათლების სხივი შეგეტანა, ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებისათვის ღრმა საძირკველი ჩაგეყარა, რის გამო შენ ღირსეულად გაფასებდენ და პატივსაცემდენ, განა ის, ვინც შენ, შენი დაუღალავი მუშაობისთვის—გაფასებდა, შენი ასეთ უდეთო ვერაგ ხედრს შეუტრავდებო!

მწარედ მაგონდება, მთელ დამეს რომ იმ შენ საყვარელ საქმეზე ტკბილ, აღფრთოვანებულ ლაპარაკით ვათიებდით ხშირად გთხოვდი, ჩემთან სულ იმ საქმეზე გესაუბრნა მეტყუალი: „მარტო ერთი ლაპარაკი ვერსა აკეთებს, საქმე—საქმეა საჭიროო“...

მწარედ მაგონდება ის, რომ კერძო წერილში მწერდი: „ჯერ მადლობის ღირსი... იმდენი არაფერი გამიკეთებია, ჯერ არა ვარ მადლობის ღირსიო, ვფიქრობ დავბრუნდე და ჩემ ძვირფას საშობლოსთვის სამსახურს უფრო გულმოდგინედ შეუდგეო... აწი კი??"...

ენტა ვიცოდენ, გიორგი, ამ შენ საყვარელ ტურფა სამშობლოს ნაცვლად, რომელსაც შენ თავზე ევლებოდი, რომლის აყვავება, ბედნიერება შენ გსურდა,—მის ნაცვლად რომელმა უცხო მხარემ მიგინებტა გულში!

ენტა სად, სად ამოიგმინე უკანასკნელად... სად ამოიხრე—მწარედ... სად დაიკენესე უკანასკნელი დედი—ენტა...!

მწედილობით, მარად დაუეწყარო ღირსეულო მუშაკო... მწედილობით...

ვისო მუშა

**ს ა მ შ რ გ ლ ო შ ი**

...სამშობლო ჩემი ნადგურდება და მის დამაზს შეკებს სისხლის დგარი ვადმოსჩქეფს... შეიღნი მისნი შორს სსდდენ ახტებან... სოფელს-კი... მოსაქმენი ანსად სხანან, თათქო ეკუღას მთაჯაჯანს“ დასწოდა, ძიღქუშო დასწემიათა...

არგვლე ვისნი მთათქა—გოდება...

**ი. ჯიხაიშვილი**



ვან-ბრანდტი

ცნობილი საოპერო მსახიობკალი (კოლფორატურული სობრანო) თბილისის სახანო თეატრში 10 იანვრიდან დაიწყო მისი გასტროლები.

# მეურვე

თავ-ჩაქინდრული, მწუხარე, ცხოვრების დუხპირ გზახედა, ურემს მიუძღვის გოგია და მღერის სეველის ხმახედა:

„მზეო, ამოდი, ამოდი,— ღრუბლებს ნუ მოეფარეო, ააციმციმე სიამით, ჩემი ტანჯული მხარეო!

მწუხარე, დაჯანებული, სიციცხლით ანეტარეო, რომ ჩაგრულს შეუმსუბუქდეს ტანჯვა და სიმწუხარეო.

თორემ რა არის სიციცხლე, მარადის მგლოვიარეო, თუ ვერ ეიპოვით ნუგეშსა, ვერცა შინ, ვერცა გარეო.

თუ არის ხსნა და ნუგეში— მოვიდეს, გვანახოს ბარეო, წაშალოს გულის ნადველი, ცრემლები შხამზე მწარეო!“

ასე მღეროდა გოგია, ცრემლიც წყდებოდა თვალებდა, და მიდიოდა იგი წინ დუხპირ ცხოვრების გზახედა!..

ღარია ახვლედიანისა

# პირ მიუხველი?

ჯოჯოხეთის ცეცხლის აღში გაეხვია ბრძოლის ველი. ზეცას სწვდება ჩვენი სისხლის შადრევანით მჩქევი ქველი. მზე მთის მწვერვალს ეფარება, სტოვეს ცის თალს სისხლით მორწყულს. დაქვითინებს ყრუ ხმით ქარი, ვერ იპოვა თავსაფარი. მმა მმის სისხლსა აღარ ინდობს. „მოკვდი! მოკვდი ბრძოლის ველზე! განუტევე სული მალე!“ ესლა ისმის, მხოლოდ ამ ხმებს გაჰკივიან!.. ეს საღამო შევისწავლე.

უღვთოდ მტყორცნეს ისარი გულს, უხმოლ ვეკერი ცივი წიწის მკერდს. ვიღუბები უცხო მხარეს...

სიციცხლეო! მიღალატე! მეგობრის უხმო ცხედარს ყვავი ჰკორტნის, თავს დასწხავის. სიკვდილს ღიმი არ შორდება! აჰა, ჩემსკენ იშვერს ის ხელს.. ვიღუბები...

აქ სამარეს ვინ მალირებს? აქ ცრემლს ჩემთვის ვინ დააფრქვევს? აქ ალერსით ვინ მცემს ნუგეშს?

სიციცხლეო, რისთვის მტოვებ? სიციცხლეო, მიღალატე? მხდალი გარბის.. უკანასკნელ სიციცხლის წუთს სტოვეს მოძმეთ. არ დამინდო და სიჩქარით წყულულზე თვის ტლანქ ფეხებს მაქერს.. საღ გარბინარ? შენც მოკვდები, ვერ მაილწვე მუუდრო ბინას...

შენც დაეცი? არ დაგინდო ბედის წერამ? ყური უვადე! ეს ვინ კენესის? ვის ეახის? — ვიღუბები, ვერ მიშველი? მეგობარო მომეც ხელი. ხა! ხა! ხა! ვისლა ახსოვს მეგობარი? ხა! ხა!

- ვერ მიშველი?
  - ვერ გიშველი! ვერ გიშველი! ძირს ჩაილე, მშაო, ხელი! თორემ იცი? მეგობრისკენ გამოწვდილი ხელს მოვამსხვრევენ.
  - ვერ მიშველი? ვაჰმე ვეკვდები.
- ეს ვინლა? წყნარად! წყნარად! აქ ხსნას განა კიდევ ელი?

მთ. ხომალაიძე



# „წინ, სიკვდილისაკენ!“

—გასწი, ირბინე! — ეუბნება რალაც ძლიერი ძალა მოკატათეთე მხეს, — არ შეჩერდე... ჩქარა... ჩქარა...

და ის შეუჩერებელი მიჰქრის თვალუწვდენელ ცის სივრცეში. მიჰქრის... მიჰქრის კოსმოსის შექმნის პირველი დღიდან..

რათა?!

მას ხომ თვითონ არა სურს ასე იაროს.. არა, არ სურს... მას არ უნდა... ვერა ხედვით, როცა ის საღამოს ზღვის ტალღებში იმალება ის თითქოს სტრის... ის იზრძვის... ის ხტება, — მაღლა იწვევა, რომ ერთი კიდე შეხედოს. თვალის მოკპრას საყვარელ ქვეყანას... მაგრამ უხეში ძალა მას არ აწერებს... მიაქნებს... შორს მიაქნებს!..

— წინ! დაიწვი საკუთარს ცეცხლში... სხვაც დასწვი... იარე... იარე!..

— ეს ხომ სიკვდილია... სიკე..

— ჩქარა... თუნდა მოკვდი... დაიწვი... მხოლოდ წინ!.. არ აჩერებს ძლიერი ძალა და ის მიჰქრის. მიჰქრის..

— სიკვდილისაკენ!..

— გაიზარდე, გაიზარდე! — ეუბნებიან პაწია ბავშვს... გაიზარდე ახელა, აპაა... დიდი კაცი.. მალე გაიზარდე, რომ..

საწყლები!.. ჩქარაო... და ის კი არ იციან, რომ ეს მალე გაზრდა მალე სიკვდილსა ნიშნავს...

ნუ, ჩემო პატარა... ნუ უჩქარი... სიკე... დიდი ისეც ადრე მოვა..

— გაზაფხულდა! — გიძიხიან ყველანი — გაზაფხულდა!.. და ნახმა იამ თავი წამოყო... ხის ტოტები რალაც უცნაური კვირტებით დაიფარა... ვარდის კუკურები დიდდებიან... ფართოვდებიან... რალაც უხილავე ძალა თითქოს ზერავს მათ...

— მალე გაიზარდე... გაიფურჩქნე... ჩქარა, ჩქარა!.. ეძახის მათ შიგნიდან ის და ვარდი იშლებია... იშლებია..

— მაკალოე... არ მინდა! ეუბნება ამ ძალას კუკური, — მაგრამ მას არ ესმის... არ

ესმის.. ეძალეზა — წინ, წინ, გაიზარდე... გაიფურჩქნე!..

ნელა.. ნელა გაიშალე, კუკური, თორემ მალე, მალე მოვა შემოდგომა და ყველანი გაყვითლებულნი ძირს ჩამოივრებიან... ნუ, ნუ უყურებთ მას, ნუ უჩქარით... ნელა გაიშალენით. ნელა!..

ნუ მიჰქრი ასე სწრაფად, ცხოვრებაე!.. ნელა, ნელა... შენ ისე ლამაზი ხარ, ისე მშვენიერი ხარ, მაგრამ შენ ისე ჩქარა მიჰქრის ხარ, რომ ბევრი, ვისაც შენსავით სწრაფი თვალები არა აქვს, ვერ ამჩნევს შენს სიმშვენიერს.. ნელა წად... დეე, ყველა დასტკბეს შენი სილამაზით... სიმშვენიერით... ყველა დასტკბეს!..

და მაინც რას უჩქარი?.. იქ, ბოლოს ხომ იცი რა გეცის! ან ის ხომ იქაა გაჩერებული!.. სიკვდილი.. რაც მალე მიხვალ, იმდენად მალე მოგიღებს ბოლოს.. მაშ ნელა... ნელა..

ოხ, არ ესმით!.. მზე მაინც ჩქარა მიჰქრის... მას სითბო აქვდება — ის იფერფლება საკუთარსავე ალში.. პატარა კი უცბად გაიზარდა.. ყოველი მცენარე ზევით იწვეს.. წუთობით იზრდება.. ცხოვრებაც მიჰქრის.. ვერ ჩერდება... ვერ ჩერდება — წინ, ჩქარა! — გაიძახის ეს საიდუმლო ძლიერი ძალა.. და ყველაფერი შეუჩერებელი მიჰქრის, რათა მალე განვლოს თავისი გზა და შემდეგ სიკვდილის მსხვერპლი შეიქნეს... რათა შემდეგ სიკვდილი დაეპატრონოს მას... — წინ, წინ, — და ყველაფერი მიჰქრის..


და შეუჩერებელია ეს წინსვლა სიკვდილისაკენ... შეუჩერებელია...

ოჰ, ნელა წადით.. ნელა.. იქ ხომ სიკვდილია.. ნელა!!

მონიშნა



## ქართველი მწერლები—გალაქტიონ ტაბიძე




(მისი ლექსების გამოცემის გამო)

საქართველო მგოსანთ ქვეყანააო, სთქვა ვილაძამ. თუ რითმებით ამბების მწერალთ აღებთ, ეს აზრი იქნება მართალიც იყოს, მაგრამ კვშიარტი მგოსანი კი, ისეთი, რომელმაც შეიცნობოს ბუნება და ადამიანის სულისკვეთება, მსოფლიოს გარე-მიდამო იგარძნოს და ნაგარძნობი სხვასაც აგარძნობინოს, ისეთი მგოსანი მაინც და მაინც ბეერი არ მოიძებნება ჩვენს ახალგაზღვრულ მოქალაქეთა შორის.

ადამიანის სულის კვეთების, შინაგან განცდის გადმოცემა ერთია და რომელიმე წინადადება აღებულ, აზრის გართმულ პუკარებში ჩამოყალიბება მეორე. ჩვენი მწიგნობრობა ჯერ კიდევ ელის კრიტიკოსს და ვიდრე მალა-ნიკიერი კრიტიკოსი მოგვევლინებოდეს, ჩვენი მწერლობა განუყოფარებელი იქმნება და ყოველ მოლექსეს მგოსნის სახელით დაავიკრავინებენ,

გალაქტიონ ტაბიძე-კი, რომელმაც პირველი ორიოდე ლექსი 1908 წ. გამოაქვეყნა, ხოლო უფრო მეტად 1910 წ. ქურ. რთებარი

და ცხოვრებაში და სხვაგან გაშალა ფრთა და თვის ლექსთა თაიგული გასულ წელს გამოსცა ცალკე წიგნად, არ ეკუთვნის იმ მოლექსეთა ჯგუფს, რომელთა სახელიც ლევიონია...

გ. ტაბიძე,—ეს ბუნებისა და ადამიანის სულის ბგერათა მესაიდუმლოე,—სრულიად განკერძობებითა სდვას და თვისი შემოქმედებით იგი მსოფლიო სევდის მგოდებელთ ჩვენში ნ. ბარათაშვილს) უახლოვდება სამართლიანად შენიშნავს კრიტიკოსი იგ გამოართე-ლი, როდესაც ამბობს: „ტაბიძემ ღრმად იგარძნო ყოველი შეგნებული ადამიანის სევედა და სულის სწრაფვა, ბარათაშვილს გამოეხმაურა და თვისი მკენესარე ხმები მსოფლიო სევდას შეუერთა“.

ჩვენი პოეზიის ქურუმნი მეცხრამეტე საუკუნეში და ახლაც უმეტესად მამული-შეილურ-მოქალაქეობრივ ჰანგთა მღერამ გიიტაცა, უკანასკნელ ხანში ხომ „პროგრამულ“ ლექსებს სწერენ. ეს იქნება სწორედ ასეც იყოს საჭირო, მაგრამ კვშიარტი მგოსანს კიდევ სხვა მიზანი აქვს: ადამიანის სულის განცდათა გამომქდავენება, ჩვეულებრივ ადამიანისათვის მიუწოდომელის შეცნობა...

გ. ტაბიძემ თავის ლექსთა მშენებარ თაიგულში საუცხოვოდ გადაგვიშალა მუდამ მჭიციბელის, სულით ლევილი ადამიანის სწრაფვა, აღებულ უკანასკნელ ათეულ წლების ინტელიგენციის რწმენის მერყეობა, ახალი გზების ძებნა, იმედის გაკრეფება, უფუფეუბობა...

ამ პატარა საბიბლიოგრაფიო წერილში მოუხერხებელია მკითხველს გადავსცეთ ყოველივე ის, რითაც გასულდგმულეულია გ. ტაბიძის ნაზი ლექსები (ფიქრობთ მოკლე დროში უფრო ვრცელი ვანხილვა მოვათავსოთ), ვიტყვი-თე, რომ ახალგაზღვა მგოსანი ღიღის ყურადღების ღირსია, და ვინაც მსურს ვანიცალოს სულიერი კმაყოფილება, უადრესი სიტკობება, მან თვით ნაწერება—მგოსნის შემოქმედება უნდა გაიცნოს.

იოსებ არიშაიელი



# Art poétique

მე მიყვარს ჰანგი გრძნობით გამთბარი,  
 ყვაილენებით ნაზი და ჩუმი,  
 ხან მოთამაშე, ვით ნიაფ-ქარი,  
 ხან მოზრიალე, ვით აბრეშუმი.  
 სიმღერა გულში დაგუბებული  
 ხან ნიავეით, ხან შეშლილივით,  
 როცა სიღრმეში ვერ იტევს გული,  
 მოდის და მოდის ფერად ლივლივით.  
 იმღერე დამთვრალ ყვაილთა მტვერში,  
 იმღერე ტრფობის ან მტრობის ხმაზე,  
 ოლონდ ყველაში და ყველაფერში  
 მუსიკა იყოს და სილამაზე.  
 მუსიკა გვიხსნის! ჰიი, მგონებო,  
 მართალი არის ბრძენთა თქმულება,  
 რომ უფრო დიდი და საოცნებო,  
 უფრო მაღალი დანიშნულება  
 არ არის, როგორც განწმენდის ხმაში,  
 ვით ცეცხლის ალში, დააცხრო ვნება,  
 რასაც არ ჰქვია რითმთ თამაში  
 და განცდათ ტანჯვა—შეგენიერება.  
 იმღერე გრძნობით და როცა მღერი  
 მწუხარების ან იმედის ხმაზე,  
 მარად გახსოვდეს, რომ ყველაფერი  
 მუსიკა არის და სილამაზე!

*მ. მ. მ.*



## ჟოზეფ. პ. ი. ჩიკოვსკი (მოგონება)

1890 წელიწადი პირადად ჩემთვის ფრიალ  
 შესანიშნავი, სამახსოვრო და დაუვიწყარია.  
 ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ წლის იანვრიდან  
 სრულიად მოულოდნელად და უთხოვე-  
 ნელად გადამიყვანეს თბილისს უკეთეს

აღაგზე. მაგრამ ეს კიდე არაფერი იმას-  
 თან შედარებით, რასაც მე ქვემოლ მოუთხრობ  
 პატივცემულ მკითხველს.

მას აქედ თითქმის ოცდა ხუთი წელი-  
 წაღია და ესლაც არ მაგიწყდება ის სასიამოვნო,  
 ჩემთვის ძვირფასი, წამები, რომელიც მე  
 განვიცადე იმ დროს, როცა მქონდა ბედნიე-  
 რება პირადად გამეცნო განსვენებული რუ-  
 სეთის,—რას ვამბობ, მარტო რუსეთის კი  
 არა—მთელი მსოფლიოსათვის—ძვირფასი კოპ-  
 პოზიტორი, დიდებული მუსიკოსი, მავსტრო  
 პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკი.

იქნება ზოგიერთს კიდევ გაეცინოს, სა-  
 საცილოდ ამიგდოს და სთქვას: დიდი რამეა,  
 თუ რუსის კომპოზიტორი გაიგეცნიაო, არა  
 ეს სამართლიანი არ იქნება. საქმე იმაშია,  
 რომ მუსიკა და მისი ქურუმნი ეკუთვნიან  
 მთელ კაცობრიობას, ასპარეზი მათი დიდია  
 და ვიწრო ფარგალში მათი მომწყვდევა  
 ყოვლად შეუძლებელია. ყოველი ერის კომ-  
 პოზიტორი იმდენად და მანამდე ეროვნული,  
 ვიდრე თავის ეროვნულ ჰანგებს იკვლევს,  
 სწერს, ამშვენებებს და ამ ნიადაგზე ჰქმნის  
 სხვა და სხვა ეროვნულ ნაწარმოებს. შემდეგ  
 ამისა, როცა დიდებული კომპოზიტორი თავის  
 შემოქმედებითი ნიჭს და უწარს ფატიეთ ამღვეს  
 თავისუფლების გზას, ჰქმნის ცალ აღმტაც,  
 ადამიანის სმენის დამატკობელ მუსიკალურ  
 თხზულებათ: კვარტეტებს, კვინტეტებს, სუი-  
 ეტებს, ოპერებს, სიმფონიებს თუ სხვას, მა-  
 შინ ის მთელი კაცობრიობის კუთვნილებას  
 შეადგენს. განა ტყუილია? ვინ არ დამტკბა-  
 რა, ვინ არ აღფრთოვანებულა, ვის არ უგრ-  
 ძენია თავისი თავი ნეტარებითი ქვეყანაში,  
 ვის არ დავიწყებია რამდენიმე ხნით მაინც  
 სააქაო და ვინ არ გაუტაცნია შეხებტილი-  
 ბულ საარაკო ჰანგებს ბეთხოვენის სიმფონიე-  
 ბისას, დიდებულ მოცარტის უკვდავ ქმნი-  
 ლებებს, ბახის, ვაიდნის, გლიუკის, ვაგნე-  
 რის, ვერდის და სხვათა დიდებულ ნაწარ-  
 მოებთ? ეს უკვდავი ქურუმნი მუსიკისა განა  
 რომელიმე ერის საკუთრებას შეადგენენ?  
 განა მარტო იმათ აუტოკებით გული ამ  
 დიდებულთა ნაწარმოებით, ვისაც ან რომელ  
 ერსაც ისინი ეკუთვნიან? სრულებითაც არა!  
 სწორედ ამათანა უკვდავთა რიცხვშია



**ლადო ლონგინოზის ძე კაცხაძე**

რუსულ საოპერეტო დასის მსახიობ-მომღერალი. სწავლობდა მოსკოვში. იქვე დაიწყო სასცენო მოღვაწეობა 1910 წ. ტენორია, პირველ ხარისხიანი მსახიობი და პირველ როლებს ასრულებს ამ ემოდ თბილისშია.

განსვენებული პ. ჩაიკოვსკი და მიტომ ჩემზე, როგორც უბრალო და პატარა კაცზე, ისეთი დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა. საქმე რაშია? რა მოხდა?

აი, რა მოხდა: ცოტა ხნის შემდეგ, რაკი თბილისში დაებინაველი, რუსის საიპერატორო მონადირეთა საზოგადოების წევრად ჩავეწერე ამავე საზოგადოების თავმჯდომარედ იყო კომპოზ. პ. ი. ჩაიკოვსკის ძმა ანატოლი ილიას-ძე, რომელსაც მაშინ გუბერნატორის თანაშემწის ადგილი ექირა. ერთხელ დაწაის კაშა, ნადირობის შემდეგ, ვსადილობდით იქვე ტყეში. ჩვენთან იყო ა ი. ჩაიკოვსკიც. იმან იქ, სხვათა შორის, ჩამოაგდო ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმის ძმას, კომპოზ. პ. ი. ჩაიკოვსკის გაიცნოს ის პირნი, რომელთაც რაზე ნაშრომი აქვთ ქართულ ეროვნულ მუსიკიდან. აქვე ჩვენთან იყო ჩვენი სასწავლებლის უფროსი, რომელმაც უთხრა, როგორც გავიგე, მგონი ჩემზე, ამას ქართული ხალხური სიმღერები აქვს შეკრებილი და ნოტებზე დაწერილია.

რა გაიგო ეს, მომობრუნდა ა ი. ჩაიკოვსკი და მთხოვა: თუ შეიძლება ინახულე ჩემი ძმა და მიუტანე ის ნოტებიო. მე ვუპასუხე: შეიძლება კი არა, ჩემ თავს უბედნიერეს კაცად ჩავთვლი, თუ ვეღირსები თქვენი ძმის გაცნობას შეთქი.

—ხელ არ იქნება შინ, ზეგ სალამოს უეჭველად მოდით და ჩემი ძმა შინ დაგხედებათო. მითხრა ანატოლი ჩაიკოვსკიმ. სალამოს ცხრა საათისათვის დაინიშნა დრო. **წ. ჩიკვაძე** (გაგრძელება იქნება)

**მგზავრის სიმღერა**

(მგვობრული პაროდია)

ვირზე შეჯდა, ვირით მიდის  
ბორჯომისკენ ყვანჩილა;  
ვირის ზურგზე ბუქნას შერება,  
ლექსის წერით დალილია...  
ვაა, შენს ვირს; ვადილა,  
მოშაირე ყვანჩილა...

თაჯზე თმები გადივარცხნა,  
მთვარედ ააკაშკაშა;  
ლექსის წერა კვლავ დაიწყო,—  
ვირი აითამაშა...

ვაა, შენს ლექსს, ვადილა  
ფიორდუბის ყვანჩილა...  
ბორჯომს თავი დანებე,  
და მოშორდი იმ ქიშას;  
კვლავ პეტროგრადსა ესტუმრე,—  
აქ შაირი გიმძიმსა?..

ვაა, ჩელა, ვადილა,  
რა გამაღერებს ყვანჩილა...  
ნევის პირად ვილაც გოგომ  
ფეხი გადივანტილა,  
ტიტველ ტანზე წყალსა ინსამს,  
ჩქარა გასწი ყვანჩილა...

ვაა, ლელი, ვადილა,  
წყალზე ქალი გაშლილა!  
ის გოგონა გადაკოცნის,  
წყალსა გასმევს პეშვითა,  
შენს ვირსა კი ის დაუწყებს,  
შორით ქვერტას ექვითა...

ვაა, ლელი, ვადილა,  
ნეტავი შენ ყვანჩილა...  
ვირზე შეჯდა, ვირით მიდის,  
ბორჯომისკენ ყვანჩილა;  
ვირზე ბუქნას აკეთებს,  
ლექსის წერით დალილია!..

ვაა, ლელი, ვადილას,  
ჩქარი ტაში ყვანჩილას...  
**დ. პარიხელა**



# საქართველდან რუსეთში

(ახალი ჯარის კაცის ელგვია)



რეჟ. მ. ქორელი. შარკი

ქვინაეს და მიჰკრის საღაღაც შორს, შორს მატარებელი,  
და სევდა მიჰყრობს, რაღაც სევდა გაურკვეველი...  
მატარებელი, სად მიაფრენ ქართველთა შვილებს,  
ნახ საქართველოს ლაღ გულ-მკერდზე ლაღად აღზრდილებს?..

ოხ, რა გულცივად მეგებები, რუსეთის ველო!..  
ან შენ თავს რაზე დამყრანტალებ, შავო ფრინველო?!  
დაღონებული შორს ვაცუცებ ნაღვლიან თვალებს,  
საღაც ყაზბეგი ვერცხლის ქულით ელავს, ბრწყინვალეებს,

მაგრამ ვშორდები... და სამშობლოც თვალს ეფარება,  
იქნებ საზღვდომი!?. და გულს იპყრობს ყრუ მღუმარება  
სამშობლო მხარეც, რისთვის მხარდე მე შენი შვილი,  
თუ შენს ლაღ გვერდზე არ მეწერა ბედშავს სიკვდილი...

ახლა ვინ იცის, რომელ ველზე დაეხუჰავ თვალებს,  
ან და რა მხეცი დააღესავს კბილებს წემს ძვალეებს...  
მოშორებული მოწყვეტილი მშობლიურ მხარეს,  
სამარესაც ვერ ველირსები, შავებელ სამარეს,—

არამედ ველი, ფართე ველი, თვალუწვდენელი,  
ეშმა სიკვდილის მკერდს მიმიკრავს, ვითა მშობელი...

ღრუბელი



„გაწუვებილი სიმი“  
ალ. იმედაშვილი (ვახტანგი)



პოლკ. თავ. კონ. აღმ. მიქელაძე  
(ოსმალეთის საზღვარზე მოკლული)



შტ.-კაპ. გ. მ. სერსტულიძე (ფოცხოველი)  
(მოკლული — უკანასკნელი სურათი)



# ქ ა ლ ი ბ რ ე ნ ე შ უ ლ ი

დრამატული პოემა 1 მოქმედება)

## ა ლ . შ ა ნ შ ი ა შ ვ ი ლ ი

### შესავალი

ო, ნეტამც, ქალო, დარჩენილიყავ  
 სიზმრის მეგობრად, კვლავ შორეული!  
 ნეტამც წარმელო ხსოვნა სოფლიდან,  
 რომ ხარ სპეტაკი, სულის რჩეული.

იგი ტაძარი, მე რომ იღვინე,  
 არ იქმნებოდა ახლა რღვეული  
 და მ-ს ნანგრევზე არ ვიგლოვებდი:  
 ქალო ლამაზო, რად ხარ გრძნეული!?

განა ვიცოდი, ზღაბრის დედოფალს,  
 საგანს შერისისას, ალტაცებისას,  
 რომელს გეტრფოდი ჩემს ოცნებაში  
 და გძღვნიდი ლოცვას მარად ქებისას  
 სინამდვილეში ცბიერად გცნობდი?  
 ან იქმნებოდი თნვევას ჩველი?  
 ხომ სიზმარშიაც ასე ვიმღერდი:  
 ქალო ლამაზო, რად ხარ გრძნეული?

სულის წუხილით წარსულს მივსტირი,  
 როს ყრმობა ჩემი შენით ჭხარობდა;  
 დრო იყო იგი ჩემთვის საიშო,  
 ოცნება მაშინ მონარნარობდა,  
 მაგრამ ვაი, რომ დამწვარ გულისთვის  
 აწმყო მეტყველობს ზხამად ქცეული!  
 ო, გამიგონე! არც ახლა მძულხარ —  
 ქალო შეათვადავ, რად ხარ გრძნეული!?

### მოქმედნი პირნი:

- ძნეო — ქალთა დედოფალი
- შანგო } სამნა ძმანი
- გმირი }
- ბრძენო }
- ძნეოს ქალთა ამაღა.

\* ეს ნაწარმოები გასულ კვირას თვით ავტორ-  
 მა წაიკითხა ახალი კლუბის დარბაზში შრავალი ხალ-  
 ხის თანადასწრებით. შემდეგ გაიმართა მუსიკური, მაგრამ  
 მოლაპარაკები, რომელთა შორის ბევრმა მჭერმეტყვე-  
 ლური სიტუა წარმოსთქვა, ან ნაკლებ შეეხებ ნაწარ-  
 მოებს ან ცალმხრივ. ნაწარმოები კი უფრო მეტის  
 ყურადღების ღირსია. ამიტომ დღეიდან ვებეჭავთ.

რად.

საუცხოვოდ მორთული ვრცელი დარბაზი. მარ-  
 ცხნით საწოლი ოთახი, რომელსაც თხელი და გამს-  
 კვირვალე ფარდა აქვს ჩამოფარებული; იქ სძინავს  
 ძნეოს. მარჯვნივ შავი სქელი ფარდა. შუაზე ძვირფა-  
 სად მორთული ტანტი. მარცხენა მხარეს სდგას ძველი,  
 რომელიც გამოხატავს **შენაბის ღვთაებას**. იგი ოდ-  
 ნავ წინ გადმოხრილია. ნახად აწეულ ხელში გული  
 უჭირავს და ისე დასკერის, თითქოს კიდევ შესტრ-  
 ფილებდეს და თითქოს კიდევ ამაყად დასციროდეს.  
 სვეტებს უკან — ფართო შუშაბანდია, ოდნავ ბნელა.  
 ნელნელა თენდება და შუშაბანდიდან გამოჩნდება ნა-  
 წილი ზღვისა. გარედ ისმის ჰანგოს წყნარი, სულის-  
 კვეთებითი სიმღერა ჩანგის ხმებთან შეწყობილი. მუ-  
 სიკა.

### ჰანგოს სიმღერა

ცის ლავარდზე უკანასკნელს  
 ვარსკვლავს ვხედავ, — მოციანებს;  
 იგი მუქით მონარნარე  
 მივამსგავსე მეგ ზენს თვალებს.  
 გადმომხმე, ჩემო სულო,  
 და გზა მოჰქე ამ ბნელ ღამეს;  
 დედოფლო! გახსენ კარი!  
 მიმეც შევებას და სიამეს.

— —

ციცკარს მოაქვს თან ნიაგი,  
 ზენს სარკმელსა დაუქროლა  
 და მოგიბზო, ვით მივსუსტიდი,  
 სუსხმა თუ ვით ამათროლა.  
 შენ, მიჯნურო, ტკბილად გჩინავს,  
 მე ვტანჯულვარ მრავალ ღამეს!  
 გაიღვიძე, გახსენ კარი!  
 მიმეც შევებას და სიამეს.  
 უძღურობამ, დაღლილობამ  
 მთლად წარილო ჩემი ღონე;  
 რად დამსტოვე გარედ მარტო,  
 სული რისთვის შემიღონე?  
 ნუ თუ მისთვის, რომ მიყარაბარ  
 და ცრემლს ვაფრქვევ ამ ბნელ ღამეს?  
 დედოფლო! გახსენ კარი!  
 მიმეც შევებას და სიამეს!

(ძნეოს გამოვლევება და უფრო უგდებს)

სანატრელო ჩემო, სულო!  
 დილის ნამთა თმა მონამეს.  
 აღზდექ, აღზდექ ძილისაგან!  
 სხივი სთარგუნავს უკვე ღამეს!  
 დედოფალო! გახსენ კარი!  
 მიმეც შეგებას და სიამეს!

(ძნეო ხის სოლინარს ჰრეკს. შემოდის ამაღა)

**ძნეო** შუშაბანდს ფარდა გადასწიეთ!

ფარდას გადასწიე. გამოინდება ზღვის პირი, მოზორებით მშვენიერი კლდოვანი ნაპირი: ცისკრეთიდან ქალი მანთიანი ჩნდება. მუსიკა. განთიადი ორთვიანი ეტლზე სვას. ეტლში შვიდი წყვილი გედი აბია. ღამაზი და ჩათლი მანთიანი გედებს ლერწმის შტოთი ერეკება თავზე ყვავილების გვირგვინი ადგია. თმა გაშლილი აქვს. ნათელ ხელით სოფელს წითელ ვარდებს აბნევს. გედები სიმღერით ეტლს დასველეთისკენ გადაატარებენ. ძნეოს საპირფარეოსო მიუჯდება. ამაღა გარს დასტრიალებს.

**ძნეო** ნაწო!

**ნაწო** მიბრძანე!

**ძნეო** გარედ ვინ მღერის?

**ნაწო** რა მოგახსენოთ?

აღბად იქნება თქვენი მონა შეყვარებული!  
 შულამიდან უკვე მღერის  
 გრძნობიერს ჰანგებს.

**ძნეო** წადი ვაიგე, სიდან მოსულა, სადაურია? ლიო!

**ლიო** მიბრძანე!

**ძნეო** ეს სამკაული უკვე მომბეზრდა.

იგი სამოსიც ვგონებ ჩემს სხეულს აღარ აშვე-  
ნებს.

წადი, მოიტა სხვა სამკაული,  
 აღმოსავლეთის მეფის მოძღვნილი!  
 გვირგვინი, ძვირფას თვლებით მოსილი.  
 საყურე ნათელ აღმასიანი და ყელსაბამი.  
 და სახეიმი ტანისამოსიც თან მოაყოლე.  
 თხელი სამოსი, საკინძით რომ მხრებზე იკვრება.  
 გუშინწინ ჩემმა მისანმა მითხრა:  
 დიდებულ სტუმარს ზეგ შეზხვდენიო!  
 წადი, რაც გითხარ, მსწრაფლ დასტრიალე.

(ლიო გდის)

*მ. მანიაშვილი*

(გაზრტულმა შემდეგ ნომერში)

# „სისტემა“ გრიგაშვილის პოეზიაში

ადამიანის სულები ძალა სხვა და სხვა ფორმით აშკარადება; დასაბამი მისი ერთია, მაგრამ სხვა და სხვა ტოტებად შლიდა. შექმნა შეგებულა ენათა ფისილოფიის მეცნიერთა მიერ (ჰუმბოლტი, ზოტენბა, ოგისანიკო-კუდი-კოკსეი), რომ შთელი შემოქმედება ადამიანის ფისიოისა მაც. სიტუვა-კაზმული მწერლობა (პროზა, ზოგზა), ხუროთმოძღვრება და მუსიკა, ნათელი არის ერის ისტორიული განვითარებისა, მხოლოდ სხვა და სხვა ფორმით. მაც. კაზმული მწერლობა სიტუვას შიამრთავს, მუსიკა რთიმს და ხუროთმოძღვრება კი უმთავრესად ხაზსა და გეომეტრიულ ფორმებს. რომელი დარგი ხელოვნებისა უფრო ძლიერად გამოხატავს ჩვენ სულოდ სიმდიდრეს, ძნელი სათქმელია; მუსიკა ხმის ინტონაციის საშუალებით, ისევე მძღვრად და ხმირად უფრო ძლიერად გავგრძნობიებს შინაგან ფისიურ ემოციებს; როგორადც ასიტუვა. ესევე თქმის მხატვრობისა და ხუროთმოძღვრებაზე. მაგრამ ადამიანის ფისიოისა ისეთი რთული და მრავალმხრივია, რომ მისი სავსებით გამოაშკარავება არც ერთ ხელოვნურ დარგს არ შეუძლია; სდგა არის კანის სული, რომელშიც ჩვენ გარკვენი შეხებებს თუ ვხვდავთ. ადამიანის ერთ ძლიერ ტრანკედიას სწორედ ეს შეადგენს, რომ ჩვენს სულოდ ძალა, ობიექტურად გამოუთქმული და განუყოფელია. უოველივე ხელოვნური დარგი, იქნება იგი: მუსიკა თუ ხუროთმოძღვრება ან მხატვრობა, ოგისი და უფრო გამოხატავს და სხვისთვის განსაცემად, სიტუვას საჭიროებს; ბეთხოვენის სიმფონიას ან შიქლან-ანჯელას სურათს თუ გინდათ მისცეთ ნათელი და შვეთით ობიექტური გამოხატულება, სიტუვაში უნდა ჩამოახსნათ, რადგან სიტუვა ანათუ მარტო გარკვენი ფორმებს გამოავლენს, არამედ იგი შინაგან იდეებსაც გამოხატავს; სიტუვა არის არა მარტო იდეა აზროვნებისა, არამედ თვითმომქმედება; იგი გამოხატავს არა თუ მარტო ჩვენ ქოტორ ლტოფილებას და განდღას, არამედ მისში ნათელი და გარვეული სხვებზე შექმნის და თვითვე სდება წაროდ ახალი იდეებისა, და ხმირად ინდივიდუალური სიმდიერე აზროვნების



მხრავ, მის სიტუებაში აშკარადება, მკვრამ მიუხედავად წმისა, სიტუება მანინ, სუსტია სუ-სებით გადმოსცეს დრმა და ფართო შენაარსა მიქელ-ანჯელოს ფრესკებისა უღაბადების ზირველი ფურცლიდან, როგორადც ამ სურათს არ შეუძლიან სავსებით გამოსაშკარავოს დრმა და მძაფრი სეველი მოცული სხე მიქელ-ანჯელოსი. ამ ტრადედიას, სიტუების სისუსტით გამოწვეულს, შევლასე უფრო მკონები განი-დან, რადგან მათი ფისიხიკა, შედარებით, უფრო ნაზი, მგრძობობაჲ და ელასტიურაჲ, და ჭეშ-მართად ეოველივე მძაფრი განცდა სიტუებაში ძმელად უაღაბდება.

ჩვენს მკონს გრამაშეილსაც ძლიერად უგრძობია ეს უტანჯვა სიტუებისა. ზირველი შეხედებით სავიარეულია; არც ერთ ჩვენს ახალ-გახდა მწერალს არ ემარჯვება სიტუება ისე, რო-გორც გრამაშეილს; არც ერთი არ არის მკვეთრი ოსტია სიტუების გრამაშეილსავით. ეს დეზუ-ლება მართალია, მკვრამ მართალია ისინი, რომ მკონის ძლიერ ტრავმაზის განცდას შემოქმე-დების დროს, ეს შემოქმედების სეველი მკონ-სინა ჩვენთვის დაფარულია; მკვრამ ის ღირიუ-ლი აღსარებაინი, რომელიც მის ზოგანაში გაი-მისი, ნათელს ეოფენ ამ მოფლენას. ეს სხვათა შორის მითიც აისხნება, რომ მკონისა შედარე-ბით უფრო გულწრფელია; ეს გულწრფელობა კი მკონის ძლიერი ინდეიდუალობის მომასწავე-ბელია, იგი გულახდილად მას შეტყუებებს, რაც მკონის სულს ძლიერ აღუფლავს აღმურავს და მკონისა ხშირად არც მას ერადება, რომ სხვაგადგობიანი ახრი განსწკბილოს თვისი მოქნილი ლექსით.

**მის. აბრამიშვილი**

(გაგრძელება იქნება)

\* \*

აფრას გრივალი მოუსვენარი სწევის და გლეჯავს, თოვლივით თეარსა .. მე კი კვლავ ნავით მივფრინავ ზღვაზე და უცხო ცის ქვეშ დავეძებ ბედსა..

მივფრინავ შორს, შორს და თანაც ვფიქრობ: ნუ თუ ზღვის რისხვას გადაურჩები? .. დაე, ვაღამხდეს, რაც მიწერია, შენთან კი, ტურფავ, ველარ დავრჩები!.

